



# საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ქალაქი ფოთი

№ 04/1125

20 / აგვისტო / 2019 წ.



KA000017509989219

**ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, ვალერი გეგიძის ქუჩაზე მდებარე 33.00 კვ.მ. (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.07.845) და 50.00 კვ.მ. (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.07.852) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ელექტრონული აუქციონით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 115-ე მუხლის პირველი პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, სანყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის სანყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის, 2014 წლის 8 დეკემბრის, N 669 დადგენილების, „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას საკუთრების დამადასტურებელი მონძობის ფორმების, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის საფასურის და ქირის სანყისი საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2014 წლის 24 დეკემბრის, N 21/58 დადგენილების შესაბამისად და „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, ვალერი გეგიძის ქუჩაზე მდებარე 33.00 კვ.მ. (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.07.845) და 50.00 კვ.მ. (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.07.852) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ელექტრონული აუქციონით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2019 წლის 29 მაისის, N 12/42 განკარგულების და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტსა და შპს „პულსი-XXI“-ს შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, 2018 წლის 04 ივლისის, N 92 ხელშეკრულების საფუძველზე მომზადებული, 2018 წლის 26 სექტემბრის, Nფ-10 აუდიტორული დასკვნის და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტსა და შპს „აუდიტორული ფორმა ლაზიკა აუდიტს“ შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2019 წლის 05 ივლისის, N 111 ხელშეკრულების საფუძველზე მომზადებული 2019 წლის 09 ივლისის, N9/151 აუდიტორული (სამემფასებლო) დასკვნის საფუძველზე

## გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**მუხლი 1.** გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, ვალერი გეგიძის ქუჩაზე მდებარე 33.00 კვ.მ. (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.07.845) და 50.00 კვ.მ. (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.07.852) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით.

**მუხლი 2.** ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, ვალერი გეგიძის ქუჩაზე მდებარე 33.00 კვ.მ. (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.07.845) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სანყისი წლიური ქირის საფასური განისაზღვროს 297.00 (ორასოთხმოცდაჩვიდეტი) ლარით, „ბე“ განისაზღვროს 148.50 (ასორმოცდარვა ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარით, ხოლო ბიჯი განისაზღვროს 1203.00 (ერთი ათას ორასსამი) ლარით; ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, ვალერი გეგიძის ქუჩაზე მდებარე 50.00 კვ.მ. (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.07.852) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სანყისი წლიური ქირის საფასური განისაზღვროს 450.00 (ოთხასორმოცდაათი) ლარით, „ბე“ განისაზღვროს 225.00 (ორასოცდახუთი) ლარით, ხოლო ბიჯი განისაზღვროს 1550.00 (ერთი ათას ხუთას ორმოცდაათი) ლარით;

**მუხლი 3.** სარგებლობაში (იჯარა) გადაცემის ვადად განისაზღვროს 2 (ორი) წელი, სარგებლობის ხელშეკრულების ხელმოწერიდან.

**მუხლი 4.** განისაზღვროს ელექტრონული აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი: 2019 წლის 21 აგვისტოს 15:00 საათიდან, 2019 წლის 04 სექტემბრის 15:00 საათამდე.

**მუხლი 5.** აუქციონში გამარჯვებულ პირს გადახდილი „ბე“ ეთვლება სარგებლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბოლო წლის გადასახდელი ქირის ოდენობაში.

**მუხლი 6.** ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, ოქმის საფუძველზე, არა უმეტეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში, აუქციონატორთან გააფორმოს სარგებლობის ხელშეკრულება.

**მუხლი 7.** თანხა აუქციონში გამარჯვებულმა პირმა უნდა გადაიხადოს შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე: მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22, სახაზინო კოდი: 300423047 (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული მიწის იჯარიდან და მართვაში).

**მუხლი 8.** წინამდებარე ბრძანება განთავსდეს სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ ვებგვერდზე [www.eauction.ge](http://www.eauction.ge), რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონული აუქციონის ჩატარებას.

**მუხლი 9.** ელექტრონული აუქციონის ფორმით სარგებლობაში გადასაცემი უძრავი ქონების შესახებ ინფორმაცია განთავსდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე [poti.gov.ge](http://poti.gov.ge).

**მუხლი 10.** წინამდებარე ბრძანების სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ ვებგვერდზე [www.eauction.ge](http://www.eauction.ge)-ზე განთავსდება უზრუნველყოს ქონების მართვის განყოფილებამ, ხოლო ინფორმაციის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე [poti.gov.ge](http://poti.gov.ge)-ზე განთავსდება უზრუნველყოს საინფორმაციო, საგარეო და საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილებამ.


**მუხლი 11.** აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმად განისაზღვროს სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადასაცემ უძრავ ქონებაზე ყველაზე მაღალი ფასის გადახდა.

**მუხლი 12.** ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს კონსტანტინე თოფურიას.

**მუხლი 13.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 3).

**მუხლი 14.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/  
შტამბდასმულია  
ელექტრონულად 

გონა კურდღელია